ადრესატი:

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**47-47222973**
თარიღი: **24/10/2022**

.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი მათითაშვილის 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება:ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გიორგი მათითაშვილი

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პროპორციული წესით, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით.

საანგარიშო პერიოდი: 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა:13 სხდომა.

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება:12 სხდომა.

სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი-19 სხდომა. საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება- 14 სხდომა.

სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა:13 სხდომა,

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 11 სხდომა.

საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილება; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ.

საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა-მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:100 შეხვედრა, საჭიროებიდან გამომდინარე მუდმივად მაქვს შეხვედრები მოსახლეობასთან.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ინფრასტრუქტურული და სოციალური

პრობლემები.

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): მაქსიმალურად ვახდენ რეაგირებას მოქალაქეთა მიერ წამოჭრილ პრობლემებზე და შუამდგომლობას ვუწევ მერიის შესაბამის სამსახურებთან, გადაწყდა არაერთი სოციალური პრობლემა, ჩემი აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს დაბის ტერიტორიაზე ქუჩების რეაბილიტაციის პროცესი.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: ვარ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული სამოქალაქო ბიუჯეტის განხილვის საკითხებში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის (2022-2024 წ) შესაბამისად მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდების ძირითადი გამოწვევების მხარდაჭერა.

ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: ჩემს პრიორიტეტს წარმოადგენს ამომრჩევლებთან შეხვედრები მათი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით; ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების გამოკვლევა და მათ მოგვარებაში მოქალაქეთა მხარდაჭერა.

ანგარიშის მომზადების თარიღი 19.10.2022 წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი 24.10.2022 წ.

პატივისცემით,

გიორგი მათითაშვილი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ფრაქციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე